



**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

2018 წლის 08 ოქტომბერი

ქ. თბილისი

**დისციპლინური საქმე №138/17**

**მოსამართლე -- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

-- 2017 წლის 02 აგვისტოს №138 საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 21 ივნისის №138/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- განიხილა მისი შვილის - -- სისხლის სამართლის საქმე.

-- განცხადებით, მოსამართლე -- სისხლის სამართლის საქმის განხილვის პროცესში იმოქმედა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით და მისი შვილის მიმართ გამოიტანა სრულიად უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენი.

კერძოდ, საჩივრის ავტორის შეფასებით, საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც არც პირდაპირ და არც ირიბად დაადასტურებდა -- მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

-- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- 2017 წლის 19 მაისის განაჩენით -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 25, 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 07 (შვიდი) წლის ვადით.

-- სასჯელის ვადის ათვლის თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 20 აგვისტო.

**3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, განაჩენი ეს არის პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას.

ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის თანახმად, განაჩენის დადგენისას სასამართლო თანამიმდევრობით წყვეტს შემდეგ საკითხებს: ა) ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება; ბ) არის თუ არა ბრალდებულის ქმედება მართლსაწინააღმდეგო; გ) შეერაცხება თუ არა ბრალდებულს ბრალად ჩადენილი ქმედება; დ) უნდა დაისაჯოს თუ არა ბრალდებული მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის; ე) რა სასჯელი უნდა დაენიშნოს ბრალდებულს და რა ზომის; ვ) უნდა მოიხადოს თუ არა ბრალდებულმა დანიშნული სასჯელი; ზ) შესაძლო საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებების საკითხს; თ) როგორი იქნება ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი; ი) ვის და რა ოდენობით უნდა დაეკისროს საპროცესო ხარჯების ანაზღაურება.

ამდენად, მოსამართლე განაჩენის გამოტანისას მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. მოსამართლე -- განიხილა სისხლის სამართლის საქმე, კანონისა და საკუთარი შინაგანი რწმენის საფუძველზე შეაფასა სასამართლოში მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ -- ჩაიდინა საქართველოს სსკ 19,25,236-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, გამოტანილი განაჩენის კანონიერებაზე, შეფარდებული სასჯელის ზომისა და მის დასაბუთებულობაზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის

ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 12 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75<sup>10</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 75<sup>12</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

დისციპლინურ საქმეზე №138/17 მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**გიორგი მიქაუტაძე**

**საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი**